



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 01.11.2022-14.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:

05.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	20
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	22
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	28

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს „აჭარა ჯგუფი“, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 - სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #831944, 22.07.2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (ECTS). პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სემესტრია. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ენა, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგები, დასაქმების სფეროები, პროგრამის სტრუქტურა ((A) არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტს; (B) უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტს; (C) სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულს; (D) საჯარო სამართლის მოდულს; (E) კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულს; (F) სისხლის სამართლის მოდულს; (G) პრაქტიკული უნარების კომპონენტს) და ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 01.11.2022 ბრძანებით #1382630, რომლის მიხედვითაც ექსპერტთა ჯგუფს დაევალი სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება. შესაბამისად, არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები აკრედიტაციის **განახლებულ** სტანდარტებთან მიმართებით. არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში, დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა.

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაციები:

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

- უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმატკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმატკიცებელი სასწავლო კურსები;
- უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმატკიცებელ სასწავლო კურსებში განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდმ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება;

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

2.2. სტანდარტანმიმართებაში

- რეკომენდებულია, მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს;
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი 22 სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

2.4. სტანდარტანმიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.6. სტანდარტანმიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში კვლავ გამოიკვეთა კონკრეტული რეკომენდაციების გაცემის აუცილებლობა. კერძოდ:

- რეკომენდაციები

- 1.3. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი ხელახლა გადაიხედოს, სადაც უნდა განისაზღვროს კონკრეტულ სავალდებულო სასწავლო განმამტკიცებელ სასწავლო კურსში კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც შემოწმდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.
 - რეკომენდირებულია, რომ უსდ-ს წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა გადაიხედოს და მოდიფიცირდეს.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი #1532470, 01/12/2022). ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტით გაცემულ რეკომენდაციებზე უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაანალიზებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აღნიშნული არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გათვალისწინებული საბოლოო დასკვნაში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული პირველი სამი რეკომენდაცია მიმართულია აკრედიტაციის 1.3 სტანდარტზე. კერძოდ, იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

- უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმატკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმატკიცებელი სასწავლო კურსები;
- უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმატკიცებელ სასწავლო კურსებში განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდმ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება;
- უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის ჩართულობით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა კურიკულუმის რუკა. წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა ასახავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის მიმართებას პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებთან, სადაც ასევე განსაზღვრულია თუ რა დონით ავითარებს (გაცნობა, გაღრმავება, განმატკიცება) ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის რუკაზე დატანილია არჩევითი სასწავლო კურსების მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან, სადაც ასევე განსაზღვრულია თუ რა დონეზე ავითარებენ ისინი პროგრამის სწავლის შედეგებს. აღნიშნული, ცალკე აღებული, არ არის გარკვეული სირთულის წარმომშობი. კურიკულუმის რუკის მიხედვით, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე განვითარებაა ნაჩვენები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შემრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგი რეკომენდაცია დაკავშირებულია სასწავლო კურსებში იმ კონკრეტულ დავალებათა განსაზღვრის აუცილებლობა, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულებასთან მიმართებით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ის შესრულებულია, თუმცა, თანდართული დოკუმენტების ანალიზიდან სხვაგვარი შედეგი იკვეთება. კერძოდ, უსდ-ის მიერ წარმოდგენილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები და მათი მიღწევის შეფასების ე.წ. ინდიკატორები. მაგალითად, პროგრამის მეექვსე სწავლის შედეგია, რომ სტუდენტი „აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს...“, ხოლო ინდიკატორად წარმოდგენილია, რომ სტუდენტი „მოიძიებს აანალიზებს

სამართლის ნორმებს“. კონკრეტული ინდიკატორი ვალიდურია დამატებითი პირობების რეალურად შესრულების შემთხვევაში - შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ა) პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი (და არა არჩევითი სასწავლო კურსები, როგორც ეს ამ მაგალითის საფუძველზე კარგად ჩანს - კაზუსის ამოხსნის მეთოდის საჯარო სამართალში, კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოქვეყნებული სამართალში, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსებია და არა სავალდებულო სასწავლო კურსები), ბ) პროგრამის სავალდებულო სასწავლო ის კურსები, რომელიც განამტკიცებს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგს; გ) კონკრეტულ განმანათლებელ სავალდებულო სასწავლო კურსში განსაზღვრული უნდა იყოს ის კონკრეტული დავალება, რომლის შესრულების შედეგად შესაძლებელი იქნება იმ გაზომვადი შედეგის მიღება, რის საფუძველზეც შეფასდება პროგრამის კონკრეტული შედეგი მიღწეულ იქნა თუ არა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სხვა სწავლის შედეგებთან მიმართებით კვლავ გამოყენებულია დასკვნითი წერითი გამოკითხვა და არა კონკრეტული დავალება, როგორც ეს რეკომენდაციაში იქნა გაწერილი. პროგრამის თითქმის ყველა სწავლის შედეგთან მიმართებით (გარდა, პირველი სწავლის შედეგის ერთი ნაწილის, მე-8 და მე-10 სწავლის შედეგისა, სადაც სწორად არის კონსტიტუციური მართლმსაჯულება და პროფესიული ეთიკის სასწავლო კურსი შესაფასებელ სასწავლო კურსად წარმოდგენილი), გამოყენებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც პროგრამის სწავლის შედეგის გაზომვად კრიტერიუმს არ წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენილ შეფასების გეგმის დოკუმენტში, სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები, „სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტის ბოლოს, გვ. 8), ზემოაღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ერთ-ერთ ნაწილად გამოყენებულ იქნეს. თუმცა, მოცემული სახით მისი გამოყენება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის ვალიდური, გამჭვირვალე და სანდო შეფასების მიზნით შეუძლებელი იქნება. პროგრამის შემადგენელ სავალდებულო სასწავლო კურსებში, ბუნებრივია, წარმოდგენილია ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც სტრუქტურულად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით მიზნით გამოყენებადია, მაგრამ ეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისკენ მიმართულ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ასახული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი უსდ-მ შექმნა, თუმცა ხელახლა გადასახედია, სადაც უნდა განისაზღვროს კონკრეტულ სავალდებულო სასწავლო განმამტკიცებელ სასწავლო კურსში კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც შემოწმდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგი, მესამე, რეკომენდაცია, გარკვეულწილად, ფარავს წინა, მეორე რეკომენდაციას. კერძოდ, რეკომენდირებულია, რომ „უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. უსდ-ის მიერ წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების გეგმა, თუმცა, მასში არ არის რეალურად ასახული თუ რომელი დავალებით და ვის მიერ შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლი შედეგი. რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-ს წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გარკვეული გეგმა, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს საფუძვლიან გადახედვად და მოდიფიცირებას. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #831944, 22.07.2022;
- „სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი ხელახლა გადაიხედოს, სადაც უნდა განისაზღვროს კონკრეტულ სავალდებულო სასწავლო განმამტკიცებელ სასწავლო კურსში კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც შემოწმდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი;
- რეკომენდირებულია, რომ უსდ-ს წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა გადაიხედოს და მოდიფიცირდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	☒	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს;
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი 22 სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ირკვევა, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. პრაქტიკული უნარების კომპონენტი მოიცავს 12 ECTS, მათ შორის 6 ECTS - სავალდებულო სასწავლო კურსი, 6 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები). პროფესიული ეთიკა (6 კრედიტი) წარმოადგენს სავალდებულო კურსს, ხოლო არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს

- საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი
- კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი
- სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი
- საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა
- სასწავლო პრაქტიკა

პრაქტიკული კურსები განსაზღვრულია პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-8 სასწავლო სემესტრში. აღნიშნული კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

არჩევითი კურსის სახით საჯარო სამართლის მიმართულებით კლინიკის გავლა, ემსახურება მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაზე მეტად მორგებას.

აღნიშნული კურსებიდან სავალდებულოა 6 კრედიტის დაგროვება. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას. პრაქტიკის კომპონენტი საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება და მოიპოვოს შესაბამისი აკადემიური კრედიტი (6 კრედიტი) აღნიშნული კომპონენტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას,

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, ჩაშენებულია თეორიულ კურსებში, რომლის მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების გადატანა პრაქტიკაში. პრაქტიკის კომპონენტები განაწილებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული უნარების კომპონენტში და წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით („საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“, „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“), საიდანაც სტუდენტი საკუთარი არჩევანის საფუძველზე გაივლის მხოლოდ ერთს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად განახორციელა შესაბამისი ქმედებები, თუმცა საბჭოს მიერ გაცემული მე-3 რეკომენდაცია „სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს“ არ იქნა გათვალისწინებული შესაბამისი დასაბუთებით.

ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა კურიკულუმის რუკა. მეოთხე რეკომენდაცია გარკვეულწილად, ფარავს 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას (უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა).

საბჭოს მიერ ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია მიმართებით: „რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად“.

აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად უნივერსიტეტმა განახორციელა შესაბამისი ქმედებები, წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებში გაწერილია მხარეთა უფლებებსა და მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი);
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა;
- „სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტი.
- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;

- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ზუგდიდის რაიონული სასამართლო);
- ექსპერტთა დასკვნა (29 ივნისი, 2022წ.)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

